

ლგაზრდა მხატვარს ახწავლიდნენ თუ როგორ დაეხატა ერთი ხე, ორი ხე, სამი ხე და ხუთი ხე (ოთხი ხის ხატვისას იხატებოდა სამს დამატებული ერთი, ან ორი წყვილი ხე გამოისახებოდა). ითვლებოდა, რომ თუ მხატვარი დაეუფლებოდა ხუთი ხის ხატვას, მას შეეძლო დაეხატა ასეულობით ხე [11, გვ. 84].

12. იაპონიაში არსებობდა ზარების ღილი კულტი. კორდანებში ხანივების გვერდით ფართოდ იქნა აღმოჩენილი ბრინჯაოს ზარებიც ვ. წ. „დოტაკები“. უძველეს პერიოდში ზარი წარმოადგენდა საკულტო დანიშნულების ხაგანს.. ამას შეტყველებს ის, რომ ვველა სახის დოტაკები ნაპოვნი იქნა შემაღლებულ აღილზე, სადაც იყო აგებული ტაძრები.

საერთოდ, ბუდების გამოსახვაშიც შეინიშნება ბუდა ზარის სამაჯურით მარცხენა ხელზე. ზარი ამ შემთხვევაში, შაგ, ლამაისტური რელიგიის მიხედვით სიმბოლოა [8, გვ. 22].

- * * *
1. ლაო-ძი, „დათ დე ძინი“, თბ., 1983.
 2. პრონიკოვი ვ., ლადანოვი ი., „იაპონეული“, თბ., 1991.

3. Васильев Л. С., «Роль традиции в истории и культуре Китая», М., 1972.

4. Герман Генкель, «Боги Японии», Санкт-Петербург, 1904.

5. Глускина А., «Заметки о японской литературе и театре: Древность и средневековье», М., 1979.

6. Иофан Н. А., «Культура древней Японии», М., 1974.

7. Искусство Японии (Сборник статей), М., 1965.

8. Жуковская Н. А., «Ламаизм и ранние формы религии», М., 1977.

9. Мещеряков А. Н., «Древняя Япония» (Буддизм и синтоизм), М., 1987.

10. Руминев А., «Пантомима и ее возможности», М., 1966.

11. Слово о живописи из сада гор-тическое зерно, М., 1972.

12. Bowers Faubion, „Japanese theatre“, Tokyo, 1974.

პერან

ვალეკიცილის

ცხრილება და მოღვაცობა

(1910-1998)

ცალი ამაშუალი

ვერმან ვადეპაინდი დაიბადა 1910 წლის 18 ნოემბერს კესტფალის ქალაქ კოსტფელში. 4 წლისას გარდაუცვალა დედა, მესამე შვილს გადაჰყვა. სამძიმარზე მოსულნი ჯაბეებს კანფეტებით უვსებდნენ და ბავშვმა ინატრა, ნეტავ ხშირად კედლებოდეს. მამა მეორედ დაქორწინდა ცოლისდაზე და ბიჭს უჭირდა და დეიდისათვის დედა დაეძახა. მამა აღზრდის მიზნით ხშირად სცემდა შვილებს. პერმანი იმდენს და ისე ხმამდლა ტიროდა, რომ ხმა გაუჩნდა და სიმღერა დაიწყო. მის მშობლებს სიმკაცრე და ხამართლიანობა სიყვარულში ერეოდათ, მაგრამ უსიყვარული სამართლიანობა, პერმანის აზრით, დიქტატურაა, ისეთივე როგორც ტოტალიტარულ სახელმწიფოში. ბავშვობის უმშევნეობრეს დღედ მიაჩნდა პირველი წმინდა ზიარება. ამ ზემინისთვის საგანგებოდ მოკაზმეს, ხელში სანთელი დააკავებინეს და ეკლესიაში წაყვანება. ზარების რეკვა, ორგანის ჩუმი ხმა სამუდამოდ ჩაეცემდა გულსა და ტვინში. ეკლესია მუდა მოსწონდა, იქ არავის სცემდნენ, მშვენივრად მღეროდნენ და თვითონაც მღერო-

და. საერთოდ ბავშვობაში ერთს ფიქ-
რიძდა, მეორეს კეთებდა. აქედან შერე-
დასკვნა, რომ ცხოვრება იყო მისი
ერთადერთი საუკეთესო სამსახიობო
სკოლა. ჩემს წინაპრებს რომ წარმოვი-
დგენ, შიკვირს ასეთი თავაწყვეტილი
კომედიანტი როგორ გამოვედოთ, ამბო-
ბდა ვეღევინდი. მაგრამ მოხდა ისე, რომ
არამარტო ის, არამედ მისი ძმა ვერ-
ნერი (ამფამად კარლსტრუები თეატრის
დირექტორია) და შეიღები, მიხალი
და ქლაუდია თეატრს ემსახურებიან. გა-
მონაკლის კვლა რჯაბშია. ბაბუამისი
სპექტაკლში მონაწილეობდა და, ეტყო-
ბა, მის კვალ გაჰყვნენ, აღზრდის დრა-
კონკულ მეთოდებს ამ მაგალითშა აჯო-
ბა. ოღონდ სკოლაში არ ევლო, ჰერმანი
ხან სასაფლაოს მიაკითხავდა, ხანაც სა-
ბძელში იჯდა საათობით. ჩემი ბავშვო-
ბიდან ასეთი დასკვნა გავაეთვო, უთქ-
ვის ჰერმანს: მორჩილება და სამშობ-
ლოს ბრძა ერთგულება იყო ის ნიადა-
ვი, საიდანაც ნაციზმი შეიძლებოდა აღ-
მოცენებულიყო. შიშია ადამიანთა მა-
მოძრავებელი: ბავშვებს მშობლების
ეშინით, მამას უფროსის, დედას მამის.
შევლის ეშინია სახელის, ღირსების,
უცულის დაკარგვის. შეობლოდ თამაშში
ავიწყდება შიში დიდ თუ ჰატრას და
მეც თეატრისკენ მიმიწევდა გული. ქა-
ლაქ ვიტენის რეალურ გიმნაზიაში ჰერ-
მანი თანაკლასელების გასახარად და
მასწავლებლთა გულის გასახეთქად წა-
რმოდგენებს მართავდა და მღეროდა.
პირველი ტრიუმფი, როგორც მსახიობმა,
სასწავლებელში იგემა შექსპირის „ზა-
ფუხულის ღამის სიზმარში“. მაშინ იგრ-
ძნო თუ რა წამახალისებელია მაყურე-
ბელთა სიცილი და ტაში. ამიერიდან
მისთვის წაიშალა ზღვარი ცხოვრებასა
და სცენას შორის. „მე ავტოდიდაქტი
ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მას-
წავლებელთან რაღაც ვისწავლე“, აცხა-
დებს ვეღეკინდი. ორი წლის შემდეგ
სკანდალი მოხდა, სიმწიფის ატესტატის
მიღებამდე ორი კვირით ადრე ჰერმანმა
სკოლა მიატოვა (მანამდე ორჯერ დარ-
ჩა კლასში) და მშობლების სახლიდა-
ნაც გაიქცა. ატყდა მითქმა-მოთქმა. დი-
რექტორი ადრეც ურჩევდა, მოგვეშვი,

მსახიობი გახდი, ატესტატის მარწყვამი
ეღირსებით. მათემატიკაში, არაჟიშმაშე
ფიზიკაში, გეოგრაფიაში არადამაყო-
ფალიბელი ნიშანი ჰქონდა, ვერმანულ-
ში, ინგლისურსა და ფრანგულში სა-
შუალო, რელიგიაში, ვარჯიშში, სიძლე-
რაში, ხატვაში — მაღალი ნიშანი. თვი-
თონ თავის ცოდნას ნულზე აფასებდა,
რაც ვიცი ისიც მცდორია და რის მაქ-
ნისია ეს მაღალი ნიშებით. მთლად ასე
არ იყო საქმე, ფრანგულად და ინგლი-
სურად ლაპარაკობდა. მომღერალი გახ-
და, ისიც იცოდა, რომელ ქვეყანაში იყო
ბაზელი (ან ჰიცბურგი) და, რაც მთა-
ვარია, ღმერთი სწამდა. გუნდებში ვე-
ღედებინდი ხან ბანი იყო, ხანაც ბარიტო-
ნი ან ტენორი და ეშმში რომ შედიოდა,
მთელ თქერას მდეროდა. ელზას პარტი-
ასაც კი „ლიონგრინიდან“, ამასთან კო-
ლიორატურას არ ივიწყებდა. ვეღებინდი
სცენისენ ილტეოდა, მისმა მასწავლე-
ბელმა დოქტორ კონტად-მარია კრუგმა
პაგენის თეატრში მიიყვანა და მას უმაღ-
ლის მთელ თავის სასცენო კარიერას.
ერთხელ კრუგს მისთვის გული გადაუ-
შლია: „ჰერმან, რასაც შენ ახლა აკე-
თებ, მეც უნდა გამეჰეთებინა, მაგრამ
მშობლებს დაუკუნერ, თეატრით ლუკმა
პურს ვერ იძოვიო და წესიერ პრიფე-
სიას, მასწავლებლობას დაეუფლე“.
ჰერმანი იგონებს: „თითქოს ეშმაკი შე-
მიჩნდა, ისე მინდოდა მსახიობი და მომ-
ღერალი გავმხდარიყვავი და მამას მო-
ვახსენე: „ცემით რომ მოქმედა, მაინც
თეატრში წავალ, არ მინდა ვისწავლო და
მოხელე გაეხდე“. მამამ მიპასუხა: „გუ-
გევი ჯოჯოხეთის გზას თუ მაინცდამა-
ინც ეს გინდა“. „წეველის მეშინოდა,
მხილოდ მოგვიანებით მიხევდი, თეატ-
რი ზოგჯერ ჯოჯოხეთზე ურჩესია, მაგ-
რამ ზეცის ფასი რომ გაიგო, უნდა იცო-
დე, ჯოჯოხეთი რა არის“.

პაგენის თეატრში ჰერმანი ხელზე
მოსამსახურე ბიჭი იყო. რას არ აკე-
თებდა, ვის არ ეხმარებოდა, კულისე-
ბის გადადგილებაც ევალებოდა და სცე-
ნის უკან ყვირილიც, ცხოველების ხმის
იმიტაციაც. მაგრამ რის ვეღეკინდი იქ-
ნებოდა, თან რომ არ ემღერა, და ერთ-
ხელაც დირექტორმა პაულ სმოლნიმ მი-



ილჲე კარმანი, მილა ნადიბაძე (ღამის დედოფალი). მოცარტის „გადოსნური ფლეიტი“), პერმან ვერევანდი, ნელი ამაშუკელი, შხატვარ-გამნათებელი პერბერტ ვოლშაიდე.

აქცია ყურადღება. 20 წლის ვედეკინდმა მეუე ლირის მონოლოგები და სხვა ტექსტები წაუკითხა, უმღერა კალეც „ო სოლე მით“ (ო. ჩერმო მზეო) და ზარასტრის ბანის პარტია მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტიდან“. დირექტორი ივაიკრა, ამას მარტო ძლიერი ხელები კი არა, ხმაც ძლიერი პერნიაო და ყოველგვარი თეატრალური სკოლის გარეშე შტატში ჩარიცხეს. ისე თმამობდა, როგორც რეჟისორი მოითხოვდა, არ კამათობდა, მსახიობობა უნდოდა ესწავლა. შემდეგ პერმანი ბერლინში მოხვდა, აუერბაზის სტუდიაში. ამას მოჰყვა ბილეფელდი, სადაც თავისი მომავალი ცოლი, დრამატული მსახიობი კრეთე მაუნი გაიცნო. დაქორწინდნენ, შედეგი შეეძინათ. ცოტა ხნის შემდეგ ბერლინის „დოინე თეატრში“ მიიწვიეს რეჟისორ პილერტის ასისტენტად. ეს არ იყო ადვილი. ბოლოს პერმანი როგორც იქნა მიხვდა, პილერტი ტირანი კი არ იყო, არამედ ხელოვანის დაბადების ხელშემწყობი ბებაქალი. და მაინც ერთი წელიწადი (1939-40) კიონიგსბერგში, ელმენდროსის თეატრში დაჰყო. იქიდან ჯარში გაიწვიეს, პილერტმა ჯარიდან გაანთავისუფლებინა და ისევ ბერლინის „დოინე თეატრში“ დაბრუნდა. პილერტმა ურჩია ტენირად წასულიყო დანციგში. 1943 წლიდან დრეზდენის ოპერის თეატრში მდეროდა რამდენიმე წელიწადს. იქ შეუყვარდა მომღერალ ელფრიდე თრიოთ-

შედს და პერმანისგან შვილის გაჩენა მოინდომა. პერმანი არ აპირებდა ცოლის ღალატს, მაგრამ გულმოწყალეობა გამოიჩინა, თან განვებამაც ისურვა, რომ მათ მართლა გასჩენდათ შეილი, ძალიან სიმპათიურა ვაჟი ანდრეასი, რომელიც იმუშავდა ვეტერინარია. როცა ბიჭი ოთხი წლის გახდა, პერმანმა ის თავის იჯახს გააცნო, მისმა ცოლმა უყოფმანდ მიიღო ანდრეასი და მათი შეიღების საყვარელი ძმა გახდა. დანციგში ვედეკინდს განსაკუთრებით აფასებდნენ არა მარტო როგორც ტენირს, არამედ როგორც მსახიობს. ის მღეროდა და თამაშობდა, რაც საოპერო თეატრში ძალიან იშვიათად ხდებოდა. მერე დრეზდენში მიიწვიეს, მაგრამ მაღვე ჯარისკაცის ფორმა ჩააცვეს და რომში გააყოლეს საიდუმლო საბუთებით სავსე მანქანას. სასწრაფოდ გადაწყვიტა რომის პაპს სწვეოდა. ვატიკანში შეხასვლელთან საკუთარ ძმას წააწყდა, რომელიც სასახლეში კარისკაცად მუშაობდა. რომის პაპთან შეუშვეს, პერმანმა სხაპასხებით ჩამოითვალა, ვინც კი სანათესაოში სასულიერო პირი ეგულებოდა — რომის პაპი უკეთ მომისმენსო. წმინდა მამას პათეტიკურად უთქვას, შენი მოწოდებაა ხელოვნების მეშვეობით სიკეთის ჩაღენა და დაულოცია კიდეც. პერმანმა ავტოგრაფი სთხოვა, ეშინოდა, არ დამიჯერებენ, რომ მაგასთან ვიყავით. დრეზდენში დაბრუნებულმა ჯარისკაცების თეატრი შექმნა, თვი-

თონ იყო რევისორი, სცენოგრაფი, მსახიობი და ორგანიზატორი. ომის დასახულს ჯარისკაცი ვეღევინდი ღრუჲდენში იყო. მის მეხსიერებას წარუშლელ მთაბეჭდილებად შემორჩა ამერიკელების მიერ ღრუჲდენის საშინელი დაბომბება 1945 წლის 13 თებერვლის დამტებ, როცა თავი შეაფარა ქალებითა და ბავშვებით სავსე ეპლესიას. ერთადერთ მამაკაცს ლოცვის მეტი რა დარჩენდა. მერე იმღერა მოცარტის და შუბერტის სიმღერები. ხალხი ღინავ დაშოშინდა. მეორე დილით დანახშირებულ ხეზე ჩიტი ისე მღეროდა, თაოქოს არაფერი მომხდარიყრს. „ადამიანებო, ფრთხელად იყავით, ახლა თუ ომი ატყდა, აღარც ჩიტი იმღერებს და აღარც მსმენელი ვყოლება“, ამბობდა ჰერმანი ხშირად. მშვიდობა, მხოლოდ მშვიდობა გახდა ვეღევინდის ნატვრა. ომის შემდეგ ვეღევინდმა თჯახი იპოვა ერთ მონასტერში. რომელმაც საგიფეთიც შეიფარა. პირველდან მაშინ უგრძენია, რომ მამა იყო და შეიძლებასთვის უნდა ეზრუნა. იმხანად ცოლთან ერთად დადიოდა სოფელსოფელ და კონცერტებს მართავდნენ: ხან მღეროდა, ხან უკრავდა, ხან მოხსენებას აკეთებდა ჭეშმარიტ გრძანულ სულტე, ხანაც მხატვერული კითხვით ართობდა ხალხს. ალაგა-ალაგ სცენის მოყვარულთა წრეებსაც აფალიბებდა. ჰერმანი: „მაყურებელს და მე ერთმანეთი გვპირდებოთ. ომის საშინელებათა და დიქტატურის შემდეგ მარადიულ დირებულებებს ვეძებდით“.

შემდეგი საფეხური: 1946 წელს ვეღევინდი ბონში საოპერო თეატრის მთავარი რევისორი და სამსახიობო სკოლის ხელმძღვანელია, 1951 წელს მიუსტერში საქალაქო თეატრის დირექტორი. რა ჩიმოთვლის იმ ოპერებსა და პიესებს, რომელთა დადგმა ომის შემდგომ განახორციელდა. ანგარიშგასაწევია ვეღევინდის სიტყვები, წარმოთქმული მუშაობის დაწყებამდე მიუსტერის რატუშაში: „ავტომობილებისა და ძრავების ხანაში ხელოვნება როგორც უუფუნება ხედმეტად მიაჩნიათ, ამით ადამიანს ვერ დააკურებო... ამას იმათგანაც გაიგონებ, ვისაც კოროესა და ში-

ლერის ძეირფასი გამოცემები ამერიკების კარადებში გამოქვეწულებული დმერთო, როგორ გვანან სხვადასხვა ქვენის ადამიანები ერთმანეთს, თანაც სრულიად განსხვავებულ ჰერიოდებში.

1952 წელს ვეღევინდმა მიუსტერის თეატრთან გახსნა სამსახიობო სკოლა. მალე საფუძველი ჩაეყარა თეატრის ახალ შენობას, მაგრამ მშენებლობა გაჭიანურდა, ამან ვეღევინდი გაბარაზა და მიუსტერიდან წავიდა. 1954 წელს ბაზელის საქალაქო თეატრის დირექტორი გახდა. ამ აღვილზე 185 პრეტენდენტი იყო, ვეღევინდი ამჯობინეს და სამუდამო ხელშეკრულება დაუდეს. ექვს წელიწადში ჰერმანმა ბაზელში ვვლაზე ინტერნაციონალური დასი შექმნა, რითაც დიდად ამაყობდა, რადგან ეს ხალხთა შორის ემციური და გონებრივი ურთიერთობის განმტკიცების საფუძველად მიაჩნდა. პოლონელი, ფრანგი, საბჭოთა, ოუგონსლაველი, ჩეხი, ამერიკელი, ინგლისელი და ესპანელი მსახიობები აქ „მოთამაშე კოლექტივად“ გაერთიანდნენ. ბაზელშივე აღმოჩინა მსოფლიოს უდიდესი მომღერალი მონსერად კაბალიე, რომელიც დაიწუნეს, რადგან ხმის გასინჯვისას აღღლებისაგან მაღალი ნოტი ფალცეტით აიღო. ჰერმანმა მაიც ჩარიცხა დასში – ვაგრძენი, რომ ოქროს კელი აქვს. პირველ საექტაკლზე დამფრთხალი მომღერალი კინწისკვრით შეაგდო სცენაზე. ჰერმანი რომ არა, კაბალიეს კარიერა დაწყებამდე დამთავრდებოდა.

ვვლაზე ან არაფერი, ხელოვნების გზით ხალხებს შორის ხიდებია გადებული, ასე ფიქრობდა ჰერმანი, ამას ანხორციელებდა ცხოვრებაში. ამასობაში საამისოდ გერმანიაც მომწიფდა. 1960 წელს ზაარლანდის კულტურის მინისტრმა ვერნერ შერემა და ბიურგერმაისტერმა, თეატრის მიზნობრივი კავშირის თავმჯდომარეობის სკარ ლაფონტენმა 50 წლის ვეღევინდი ზაარბრიუქენში მიიწვიეს. ჯერ იყო საქალაქო, შემდეგ კი ზაარლანდის სახელმწიფო თეატრის დირექტორი. ცხადია, როგორც ყოველთვის, ახლაც ბევრი რამ გადაახალიასა. მას წარმოუდგენლად მიაჩნდა, რომ მო-

მდერალი მხოლოდ გაჯგიმულ-გაშეშე-
ხელი მდეროდეს, მსახიობს რიტმის
შეგრძნება არ ჰქონდეს, ბალეტის მო-
ცეკვავენი კი თავდრუდამხვევი პირუე-
ტებით ოცებდნენ მაყურებელს. ბუნე-
ბრივია, რომ ზარღლანდში იმართებოდა
სხვადასხვა ქვეყნის თეატრების გასტ-
როლები: შვეიცარიის, ავსტრიის, ამე-
რიკის თეატრის დღები, საფრანგეთის
თეატრის კვირეული. იქაურებიც ხში-
რად აკითხავდნენ უცხოეთის თეატრებს.
კლეინიდი ნელ-ნელა აღმოსავლეთ ევ-
როპისკენ იღებდა გეზს. იგი პირველი
კურმანელი რეჟისორი იყო, ვინც 1967
წელს თბილისელებისათვის კარგად
ცნობილ ზარღლანდის თეატრის მთავარ
დირიქტორთან ზიგფრიდ კიოლერთან და
სცენოგრაფ პაინც დაამთახ ერთად დან-
ციგში ვერდის „ოტელოს“ დაგდა გა-
ნახორციელა. მხედი იყო პილონეტიში
მუშაობა, გერმანელებმა იმდენი ტკივი-
ლი მიაყენეს ქვეყანას ომის დროს, მაგ-
რამ ხელოვნებამ გაიმარჯვა. პრემიერის
შემდეგ შობა ღამეს ფინიში იმპროვი-
ზებულ ბანკეტზე ორივე ერის წარმო-
მადგენლებმა თავ-თავის ენაზე იმდე-
რეს „წყარი ღამე“, მერე გაუჩინენ,
უცებ სპონტანურად გადაეხვინენ ერთ-
მანეთს და ატიღდნენ. ეს შების, შე-
რიგების ცრემლები იყო. არც ერთ მათ-
განს არ მიუძღიდა ბრალი იმ უდიდეს,
უსაბართლო, საზარელ ტრავედიაში, რა-
საც მეორე მსოფლიო ომი ერქვა, რუ-
სები კი უტიფრად დიდ სამამულო ომს
ეძახდნენ, თითქოს დანარჩენი დარბე-
ულ-გაპარტახებული ქვეყნები სათვალა-
ში მისაღები არ იყვნენ.

1968 წელს ქერმანი მიიწვიეს პო-
ლანდიაში ქალაქ ენდედეს თეატრში
შესორებების „ბორის გოდუნოვის“ და-
სადგმელად. ნაცისტების პერიოდი აქაც
ძალიან კარგად ახსოვდათ და ზრდა-
ლობიანად, მაგრამ უაღრესად ცივად
შეხვდნენ, გამიინვარებას წინ არაფერი
ედობებოდა. დაში იყვნენ პოლანდიე-
ლი ებრაელები, ნიდერლანდების წინა-
ძმდევობის მოძრაობის მონაწილენი.
თვალებში ისეთივე გამომეტყველება
ჰქონდათ, როგორც პილონელებს, და
ამათაც იმავე სიტყვებით მიმართა: „მეს-

მის, რა განიცადეთ ჩემი თანამემამუ-
ლების მიერ ოკუპაციის პერიოდში მა-
გრამ ახლა პიესა და ერთობლივი მუ-
შაობა გვაერთიანება. იქნებ ნელ-ნელა
გალვეს რეინა და ფინული“. ამ დად-
გმაში ქერმანშა მთავარი როლიც შეას-
რულა.

დიდად მაოცებს, რომ ევდეკინდმა
რკინის ფარდის გარღვევაც მოახერხა. 1968 წელს ზარბრიუქენში რუსული
თეატრის დღები ჩატარდა. ჯერ არ არ-
სებოდდა არავითარი ხელშეკრულება
აღმოსავლეთის ბლოკთან, რომლის ცე-
ნტრი მოსკოვი იყო. ადრე პოლონეთის
თეატრის დღებს დაესწრო საბჭოთა
ელჩი ლუქსემბურგში კოსარევი. ანტრა-
ქტში ევდეკინდისთვის ხუმრიბით უკი-
თხავს, რუსული თეატრის დღების ჩა-
ტარებასაც ხომ ვერ გაბედავდოთ. პა-
სუხი: რაღა თქმა უნდა. და მართლაც
1968 წელს ზარბრიუქენში ჩავიდნენ
რუსი რეჟისორი მონიუქოვი, სცენოგრა-
ფი, მხატვართა კავშირის თავმჯდომარე
ვასილიევი და თარჯიშანი, რომლის გვა-
რი არავის უხსესებია. ჩანს გერმანია-
შიც, ჩვენი არ იყოს, დიდად არ ადარ-
ებდოთ, ვინ, რას, ან როგორ თარგმნი-
და. თუ მუნჯი არ იყავი და მით უმეტეს
ორივე ენა იცოდი, საქმე მოვარებული
ევონათ. არ შემიძლია მადლიერების
გრძნობით არ მოვახსენით ზემო აკატ-
რიის მთავრობის მეთაური ბატონი გლა-
ისნერი, რომელმაც ჩვენს მინისტრთა
საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ გივა ჯა-
ვახიშვილს მადლობის წერილი მოსწერ-
რა ბრწყინვალე ინტერპრეტატორების
(და არა თარჯიშმნების) რეზო გარალა-
შეილის და ხელი ამაშუევლის გამო.
ისეთ ჰკეიან და გამოცდილ სახელმწი-
ფო მოღვაწეს, როგორიც გლაიხნერი
გახლდათ, კარგად ესმოდა თარჯმნის
როლი, რომელსაც შეუძლია სრულად
დამახინჯოს ნათევამი, თუმცა დარწ-
მუნებული იქნება, სწორად ვთარგმნეო.
აუცილებლად უნდა აღვინშნო, რომ
ორივე სახელმწიფოს მეთაურთან მუ-
შაობა ძალიან საინტერესო და სასია-
მოვნო იყო. ნაშანდობლივია ისიც, რომ
გლაიხნერმა ჯავახიშვილს პკითხა ჩვენ-
ზე, მდიდრები თუ არიანო. პასუხმა გა-

აოცა. ჩვენთან ორივენი ჩვენშე მდიდრები იქნებოდნენო. აა თურმე როგორ ფასობს თარჯიმნის მუშაობა აესტრიაში. ასეთივე მაღლიერებით ვაგონებ აუსტრიის ფინანსთა მინისტრს ბატონ ანდორშეს, მის გუნდთან და ქართველ კოლეგასთან, ფარნა ლაპიაშვილთან მუშაობას. მათი თარჯიმნები ნოდარ კავაბექ და მე ვიფავით და წერილში მაღლიერით მოგვიხსნიერ. უნებურად თემას გადავუხვიერ, აღბათ იმიტომ, რომ თარჯიმნის ვედეკინდოთან მჭიდროდაა დაკავშირებული. გერმანელი მაყურებელი პირველად გაეცნო რუს დრამატურგებს არბეზოვს, როზოვს. რუსები დასავლეთში პირველად იყვნენ, ნაყოფიერად მუშაობდნენ, მოწყვერებულებივით ეტანებოდნენ მხატვართა გამოფენებს. ვასილევს უნდოდა კვლავაც ჩასულიყო ერობაში, ამიტომ გამწარებული ლანბრავდა მოდერნისტებს, ბოლოს, ჩანს, შერცხვა და წამოსცდა: ზოგჯერ რაღაცას უაცობით ვიწუნებოთ. პერმანი ჩშირად ახსნებდა დამდგმელებს, მაგრამ ძალიან სწავინდა, მერე კი უკვირდა, რომ მოსკოვში ჩასულს გოსკონცერტი (რომელსაც მხატვიობთა სააგნეტო შეიძლება ესტროო) და კულტურის სამინისტრო მუდამ ერთხა და იმავეს ეუბნებოდნენ (ფანტაზიის დაბატვა უზარებოდათ): როინე აეაღაა ან მივლინებაშია წასული. ბინის ტელეფონი არც ერთს არ დაუტოვებია პერმანისთვის, ახალ ბინაში გადავდივართო. ასე სინქრონულად როგორ ხდებოდნენ აეად, ბინის გამოცვლის და მივლინების დამთხვევაც ფრიად საშეკვეთი იყო და გონებაჩლენგი ადამიანიც კი მიხვდებოდა, რომ ყო-თო ჩა- 1972 წ. რუმინეთმა მიიჩვია ვედეკინდი მოცაოტის „ჯალისხური ფლეიტის“ დასადგმელად. ცხადია, უბალო საპაპერი დარიგორი კიოლერიც თან წაიყვანა, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო იკერებში დირიგორობდა. ერთი წლის შემდეგ რუმინელებმა ეს დაგვამზარდოს წარმომადგენი სამინისტრის წარმატების შესახებ სამინისტრის მიერთებული მუშაობას, აქედან ათი წელი ზარბრიუქენის თეატრში მოდიოდა. 1975 წელს ვედეკინდის პროფესიონალის წოდება მიენიჭა და თეატრმა დაბატების 65 წლისთვავი გადაუხადა. მოახლოვდა გადადგომის დრო ვედეკინდმა სიტყვის თქმა დააპირა, მაგრამ მეგობრებმა უთხრეს, ძალიან ბევრს ლაპარაკობო და სიმღერით გამოხატა სათქმელი. ამიერიდან თეატრის საპატიო წევრი გახდა. ფექტურად შეეძლო კიდევ სამი წელი დარჩენილიყო თეატრში იმ პირიბით, რომ მუშაობას სამთა დირექტორი წარმართავდა. ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარი თქვა, თეატრს ერთი თავი უნდა წარმართავდეს, თანაც დესპოტური, რომელიც მწვრთნელივით მოთოვავს ურჩ მსახიობებს.

დავითით სამი წლით უკან, როცა ვედეკინდმა იპოვა თავისი მეორე სამობლო, თუ უკანასკნელი „სულის მო- დნენ, ხან აკრიტიკებდნენ. ამ პეტროვის ში მსოფლიოს მრავალ თეატრში დგა მდა წარმოლებებს, 14 ქვეყანა, მოიარა (გერმანია, ამერიკა, შვეიცარია, ავსტრია, პოლონეთი, რუმინეთი, იუგოსლავია, ესპანეთი, სპარსეთი, უნგრეთი, პოლანდია, რუსეთი, საქართველო), თეირანის სამეფო თეატრში დიდი წარმატებით დადგა დონიცეტის „ლურა დი ლამერმური“, ავსტრიაში იპერეტები, პიტბურგში (აშშ) ვერდის „აიდა“ და ვაგნერის „მფრინავი პოლანდიელი“. ამერიკაში წერდნენ: „ვედეკინდმა მოახერხა მომაკვდინებლად სერიოზულ ამბავში იუმორის ჩართვა“. 1970 წლის 30 ნოემბერს ზაარლანდის პრემიერ მინისტრმა დოქტორ იოზეფ რიოლერმა ვედეკინდს გენერალური დირექტორობა უბოძა, ჯილდოებიც აქვს მიღებული. ჯეროვნად დაფასდა ვედეკინდის ღაწლი ქვეყნისა და ადამიანების სახით ეთოდ და ასევე გერმანიის დასავლელ თუ აღმოსავლელ მეზობლებთან კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავება. თეატრის ფოიეში დიდი წევი გაიმართა: აღნიშვავდნენ ვედეკინდის დაბატების 60 წლისთვას, სცენაზე მოღაწეობის 40 წლის იუბილეს და ოცი წლის განმავლობაში დირექტორად მუშაობას, აქედან ათი წელი ზარბრიუქენის თეატრშე მოდიოდა. 1975 წელს ვედეკინდს პროფესიონალის წოდება მიენიჭა და თეატრმა დაბატების 65 წლისთვავი გადაუხადა. მოახლოვდა გადადგომის დრო ვედეკინდმა სიტყვის თქმა დააპირა, მაგრამ მეგობრებმა უთხრეს, ძალიან ბევრს ლაპარაკობო და სიმღერით გამოხატა სათქმელი. ამიერიდან თეატრის საპატიო წევრი გახდა. ფექტურად შეეძლო კიდევ სამი წელი დარჩენილიყო თეატრში იმ პირიბით, რომ მუშაობას სამთა დირექტორი წარმართავდა. ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარი თქვა, თეატრს ერთი თავი უნდა წარმართავდეს, თანაც დესპოტური, რომელიც მწვრთნელივით მოთოვავს ურჩ მსახიობებს.

დავითით სამი წლით უკან, როცა ვედეკინდმა იპოვა თავისი მეორე სამობლო, თუ უკანასკნელი „სულის მო-



სათქმელი" ადგილი, საქართველო, სა-
დაც სულმოუთქმელად გაატარა საუკუ-
ნის მეოთხედი. 1972 წელს გოსკონცე-
რტმა პირველად მოიწვია საბჭოთა კა-
ვშირში ვეღევინდი გერმანიის თეატრა-
ლურ მოღვაწეთა ჯგუფთან ერთად. მო-
სკოვის შერმეტივოს აეროპორტში 24
საათით მჯდარა, ვერ გაევო, დაავა-
წყდათ დახვედრა თუ არაფრად ჩააგ-
დეს. ხომ არ ჯობდა უკან გამგზავრე-
ბულიყო. ჯიუტმა მაინც დაცდა ამჯო-
ბინა. იქნებ ეს ბედისწერა იყო. რო-
გორც იქნა „მცირე დაგვიანებით“ მო-
აკითხეს. კულტურის სამინისტროში
შესთავაზეს რომელიმე რესპუბლიკის
ქალაქებს სწევოდნენ. ვეღევინდმა საქარ-
თველო აირჩია. ამ ქვევანაზე არავითა-
რი წარმოლენა არ ჰქონდა, რაღაც ეგ-
ზოტიკურს ეძებდა. ჩამოვიდა და, რო-
გორც თვითონ ამბობს, გული დაკარგა.
აქ დახვდა ვევლაფერი, რასეც მანამდე
ოცნებიძა: გულღია, გონიერი, სტუ-
მართოვეარე, მხარული, იუმრით აღ-
სავსე, მოცინარი, ხალისიანი, მომღე-
რალი ადამიანები — რევისორისთვის
ჰეშმარიტი საგანძურო. ბუნებრივია,
სუფრასთან მიიწვიეს. თამადას პირვე-
ლი ჭიქა ღმერთის სადიდებლად აუწე-
ვია. ამას სტუმარზე საიდუმლო სერო-
ბის შთაბეჭდილება მოუხდენია. კომუ-
ნისტური იდეოლოგია ეკლესიაში სია-
რულს კრძალავდა და ქართველებს, ჩანს,
ყოველდღიურობაში ჩაურთავთ ერთგვა-
რი რიტუალით. ივლისის თვე იყო.
ოპერის ნახვა ისურვა. თეატრებს არ-
დაღეგები ჰქონდა. კულტურის მინის-
ტრის მოადგილე, გერმანიისტმა ვახ-
ტანგ კუპრავამ, ოპერის თეატრის მთა-
ვარმა დირიჟორმა ვახტანგ ფალიაშვი-
ლმა და მთავარმა რევისორმა გიზო
ქორდანიამ დაათვალიერებინეს შენობა
და მოასმენინეს ფალიაშვილის „და-
სის“ ჩანაწერი. ოპერა ძალიან მოეწო-
ნა და გადაწყვიტა ზაარბაზიუქენში და-
ედგა. ნუ დაგვაუწყდება, რომ 70-აან
წლებში ზაარბაზინის მმართველი პარ-
ტია იყო ქრისტიანულ-დემოკრატიული
კავშირი, რომელსაც საბჭოთა კავშირი
ჭირივით სტულდა და ზაარბაზიუქენის
მართველებს გადაჭრით არ უნდოდათ

ამ სახელმწიფოსთან და მით უკიდურესი
სრულიად უცნობ საქართველოსთან
ჰქონდათ საქმე. მაგრამ ზაარბაზინის
სახელმწიფო თეატრის გენერალური
დირექტორი მეტად თავნება გახლდათ,
ყოველგვარ დაბრიოლებას სმლია და
მიზნად დაისახა პარიტეტული ურთიერ-
თობა დაემყარებინა თბილისის თეატრე-
ბით. ოსკარ ლაფონტენმა დიდად შეუ-
წყო ხელი ჰქონდა მართველოსთან
ურთიერთობას. ამასობაში ლაფონტე-
ნი იბერიბიურგერმაისტერი გახდა, მერე
პრემიერ-მინისტრი და საქართველო
დღესაც მისი უცრადლების ცენტრშია.

თავის მოგონებებში ჰქონდა წერს:
„ვახტანგ კუპრავა, საქართველოს იმდ-
როინდელი კულტურის მინისტრის მო-
ადგილე, ჩემი სულიერი ძმა გახდა. ის
აკეთებდა თბილისი იმას, რის გაპე-
თებაც ზაარბაზიუქენში მე მიხდებოდა.
გერმანული ენისა და კულტურის ექს-
პრეზიდი პროფესორი ნელი ამაშუკელი
ყველგან ჩემს გვერდით იდგა, სადაც კი
მომინდა მუშაობა. ის იყო ურთიერთ-
გაების სული და გული. დაუკინგრია
მაშინდელი შთაბეჭდილებები. პირვე-
ლად მოხდა, რომ მე არ ვაყავი გამცე-
მი, პირიქით, ვევლასგან რაღაცას ვდე-
ბულობდი პირდაპირი და გადატანითი
მნიშვნელობით“. კულტურის მინისტრ-
მა ოთარ თაქთაშვილმა ვეღევინდს
შესთავაზა ვაგნერის „ლონგრინი“ და-
ედგა, მაგრამ ჯერ „დაისის“ ჯერი იყო.
ლიბრეტოს თარგმანა გერმანულ ენაზე
მე დამევალა. ახლა თბილისი და სხვა
ქალაქებიც სავსეა გერმანულის მცოდ-
ნებით, ბევრმა ახალგაზრდამ განათლე-
ბა გერმანიაში მიიღო, მაგრამ მაშინ
პირველი ნაბიჯების გადადგმა მე მო-
მიხდა. რაღაც გამოცდილება ჰპევ მქო-
ნდა — გავაკეთე ბარათაშვილის და ქარ-
თული პოეზიის ანთოლოგიის პრეზი-
დელი თარგმანები ლრენოვანი გამოცე-
მისთვის. გერმანელ პოეტებთანაც ვა-
მუშავე თარგმანილი ლექსების დახვეწა-
ზე, მაგრამ მხა მუსიკაზე ლიბრეტოს
თარგმანა ჯოვანისტური მრომა ყოფილა.
მოვიხმარე იმსანად უნივერსიტეტში
მყოფი კათოლიკე მღვდელი პოლგლო-
ტი კოლფგანგ იფერმანსი, ორავეს მუ-



სიკალური განათლებაც გვქონდა და თარგმანს თავი მოვაბით. მერცე როივე ქართული ოპერის ლიბრეტო მე ვთარგმნე გერმანულად. „დაისი“ დადგა რეჟისორმა გიზო ქორდანიამ. დირიჟორები: ლუც ჰერბიგი, დიდიმ მირცხულავა, გივი აზმანიშვილი; მხატვარი თეიმურაზ სუმბათაშვილი. რეჟისორთან სამუშაოდ „სუქმა“ არ გამიშვა. მაშინ არ მესმოდა, რომ ეს კაცილებით მეტი დანაშაული იყო, ვიდრე ვიდაც „შავსი-ელის“ გაშევბა-არგაშვება. ამას მხოლოდ გვიან მივხვდი, როცა „მინდიაზე“ ვმუშაობდით.

1973 წლის 13 იანვარს შედგა „დაისის“ პრემიერა, რომელსაც დასწრენ ვახტანგ კუპრავა და ვახტანგ ფალიაშვილი. წარმატება დიდი იყო. იმავე წლის მარტში ველეკინდი, დირიჟორი ქიოლერი, მხატვარი გონდოლუი, გმინათხელი კოლშაიდტი თბილისში ჩამოიანდნენ „ლოენგრინის“ დასადგმელად. დამდგმელ ჯგუფთან სამუშაოდ ჩემს გარდა სამი თარჯიმანი მოვიყვანე: ია ხვადავიანი, მარიკა ანდრაზაშვილი, ლალი დიდავა, რომლებმაც პირველად იმუშავეს გერმანელებთან და შესანიშნავად გაართვეს თავი საქმეს. დამდგმელი ჯგუფი აღტაცებული იყო ჩემი გოგონებით და მექოთხებოლენენ, სად იშოვე ამ მეოცე საუკუნეში ასეთი იშვიათი გზემპლარებით. „ლოენგრინის“ პრემიერისთვის კულტურის სამინისტრო გამოშვა სპეციალური გაზეთი ქართულ და გერმანულ ენაზე. მასალა თარგმნეს ჩემმა უნივერსიტეტელმა კოლეგებმა. 1973 წლის აპრილში პრემიერაზე ჩამოიანდნენ ზარლანდის კულტურის მინისტრი ვერნერ შერერი, ოპერბიურგერმაისთვის ედმუნდ ხასდენთოიფელი და მრავალრიცხვოვანი ტურისტები. დადგმას დიდი წარმატება ხვდა წილად. ქიოლერის დირიჟორობაშ ყველა მოხიბლა, სპეციალისტიც და ჩერულებრივი მსმენელიც. სპექტაკლის შემდეგ თპერის ფინიშში ხალხმრავალი პრესკონურენცია გაიმართა ქართველების და გერმანელების მონაწილეობით. მერე მოვლენები ასე განვითარდა: 1973 წლის დეკემბერში გიზო ქორდანიამ დადგა

ზარბრიუქენში ჩაიკოსეს უკანონებების დარღვევის შემდეგ და დირიჟორი იყო ლუც ჰერბიგი, მხატვარი იოსებ სუმბათაშვილი. ლიბრეტო მთლად ზუსტად არ იყო თარგმნილი და გზადაგზა შესწორება მომინდა რეჟისორის კონცეფციის შესაბამისად. ჰერმანმა განვებ შეარჩია რუსული ოპერა (რომელიც მოსწონდა კიდეც) მოსკოვის კულტურის სამინისტროს გულის მოგების მიზნით, ხელს არ შევიტლიანო. არც შემცდარა. კულტურის სამინისტროში მოვიდა საქოთა კავშირის კულტურის მინისტრის ფურცელის მოადგილის პოპოვის დეპეშა (პოპოვი უცხოეთან ურთიერთობას განვაეძლა): „სასწრაფოდ, ორი თვით მიავლინეთ რეჟისორი ქორდანია და მთარგმნელი ამაშეკელი ზარბრიუქენში ჩაიკოსეს „პიკის ქალის“ დასადგმელად. ჩერულებრივ დადგმისთვის ერთი თვე იყო განკუთხილი, მაგრამ რუსული ოპერა წესებს არ ემორჩილებოდა. იცოდეს ღმერთმა, ჩაიკოსეს არ ვერჩი. პრემიერა 1973 წლის დეკემბერში შედგა ქართველი სოლისტების მონაწილეობით. ამ ბრწყინვალე სპექტაკლს უამრავი რუსი ემიგრანტი დაესწორ.

საინტერესოა ერთი ფაქტი. გიზო თეატრში ძალიან მოსწონდათ, არც მე მიწუნებდინ და რეპეტიციები ხალისიანად, საინტერესოდ მიმდინარეობდა. პარალელურად რუმინელი რეჟისორი დგამდა ოპერას. ისიც და მისი თარჯიმანი ბალუესკეუც აითვალისწუნეს, რეპეტიციებზე არ ემორჩილებოდნენ. ვეღვეინდთან იჩივლეს, უშედევოდ, რეჟისორმა თვითონ უნდა გამონახოს დასთან საერთო ენაო. პრემიერა ჩაიშალა. ესეც შენი დასცავლინებული გერმანულები. მოძღვნო წელს ოთარ თაქთაქიშვილის „მინდია“ დადგა გიზო ფორდანიამ (დარიერი გივი აზმანიშვილი, მხატვარი თეიმურაზ სუმბათაშვილი). წარმატება დიდი იყო. გერმანიაში დასადგმელი ოპერა იგზავნება მსოფლიოში სახელგანთქმულ ჰანს სიკორსკის მუსიკალურ გამოცემლობაში, ხადაც უმაღლესი მუსიკალური განათლების მქონე პოეტები სასცენო რედაქციის უკეთებენ ორიგინალურ თუ თარგმნილ ლიბრე-



ტოს, ბეჭდავენ პარტიულას, კლავირს და მომღერლების პარტიებს. გული მიკედება ჩვენს თეატრში ხელით გადაწერილი მასალის გახსენებაზე. „მინდაას“ ლიბრეტო ბატონმა ბორგენმა დამუშავა, გამომიგზავნა შესამოწმებლად, პამბურგიდან ჩამოვიდა, ჩემს სასტუმროში დასახლდა და, კველა ჩემი შენიშვნის გათვალისწინებით, უკანასკნელი სასცენი რედაქცია ერთად გავაკეთეთ. ასე საინტერესოდ და ნაყოფიერად იშვათად მიმუშავა ვინმესთან.

საპასუხოდ კედეკინდმა ვაგნერის „მურინავი პოლანდიელის“ დაღვა განახორციელა ყოფილ პროფესიონების სასახლეში. ოპერის თეატრის შენობა დამწერი იყო. თარჯიმნები არ შეცვლილან, გერმანელებს საქებით აქმაყოფილებდათ მათი მუშაობა, თანაც უკვე შეეჩინებ თეატრის სპეციუიკას და გამოცდილებაც მიიღეს. გერმანელებთან ეპიზოდურად იმუშავეს ნაირა გელაშვილმა, ხათუნა ცინცაძემ, ნატა ჯანელიძემ, ალიკო კარტოზიაძეც უთარჯიშნა ვედეკინდს ჩევნთან და გერმანიაში.

პარიტეტელი თანამშრომლობა არ შენელებულა, პირიქით უფრო ფართო ხასიათი მიიღო. ტურილად ხომ არ ეცნებოდა პოპოვი თაქთაქიშვილის ჩა ყთოვამ ეთო ებრეი (თვითონ კი ველეკინდს რუსულ თეატრებს სთავაზობდა სამუშაოდ). ჟერმანი გერმანელი იყო, თუმცა ნიჭიერი ადამიანის ებრაელობა ვის გაუკვირდებოდა, თანაც პოპოვმა არ იცოდა, ან არ უნდოდა სცოდნობდა, რომ საქართველოში ებრაელებს პოგრომებს არ უწყობდნენ რუსებივით. შემდეგი ნაბიჯი: გიზო კორდანია დგამს „აბესალომ და ეთერს“ (დირიჟორი ფინ სდუნოვსკი, მხატვარი იოსებ სუმბათაშვილი). ჟამბურგის გამომცემლობაში ვგზანიდი ლიბრეტოს თარგმანს, იქიდან მომდინარე სასცენო ვარიანტი, რომელსაც ვასწორებდი. სამი მოქმედება ასე გაკითდა, მეოთხეზე ზაარბრიუქენში ვიმუშავებდით, მაგრამ სუკმა ამჯერადაც არ გამიშვა. ჩემს ნაცვლად ისეთი პირი გაგზავნეს, ვინც სახელმწიფოს სტირებოდა, — ასე მითხრეს ცეკაში, მაგრამ ოპერას არაფერში გამოადგა და

შეოთხე მოქმედება დაუმუშავებელი დროულია რჩა. მორგენერი კი ტუშილად მტკქლიმენტის ნებს ზაარბრიუქენში. ვედეკინდი დგამს მოცარტის „ჯადოსნურ ფლეიტას“. ოპერა პირველად იმღერეს ქართულად, ეს თარგმანიც მე გავაკეთე. მომღერლებს არ უნდოდათ ქართულად ემღერათ, კველი რესულზე გვაქვს შეჩვეულიო, მაგრამ ვედეკინდმა დაიჩემა, რომ ოპერა ან დედინის ან იმ ქვეყნის ენაზე იმღერება, სადაც დგამენ. ოპერის განახლებულ შენობაში უკანასკნელად დადგა გუნის „ფაუსტი“ (მარგარეთი).

ზაარბრიუქენში გიზოს და მე დაგვიმეგობრდა ჰერმანის მეგობარი მილიონერი კარტ ვენდელი, რომელიც თეატრს დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა, მთელ დაღმებს ის ამარავებდა და ფეხსამლით. ეგ კი აღარ მევონა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ უძღიდრეს ქვეყანაშიც იყო ამის საჭიროება. ერთხელ თავის ფაბრიკაში წაგვიყვანა, ჩეკულებრივი გასაღებით გააღო და ფეხსამლების სამფლობელოში აღმოვჩნდით. სუვენირად რას გამოგვატანდა, აღვილი მისახვედრიდა.

ზაარბრიუქენის თეატრს საოპერო და საბალეტო დახთან ერთად ღრამატელი დასიც ჰყავს თავისი სცენით. იქ დადგა რობერტ სტურუამ კლდიაშვილის „სამანიშვალის დედინაცვალი“ (თარგმანი ნ. ამაშუკელის, რედაქცია გივი მარგველაშვილის, თარჯიმანი თენგიზ კარძელაშვილი), იქვე დადგა გერმანელმა რეჟისორმა შავეინპოლდმა ვ. კუპრავას მიერ თარგმნილი რევაზ ებრალიძის თანამედროვე პიესა „გზა მზისკენ“.

1974 წლის 29 მაისიდან 9 ოქტომბერ ზაარლანდის სახელმწიფო თეატრში ვედეკინდის ინიციატივით ჩატარდა ქართული კვირეული, რომლის დროსაც ნაცენები იყო ზაარბრიუქენში დადგმული კველა სპექტაკლი. კვირეული დიდი გალა-კონცერტით დაგვიარგვინდა. კონცერტის დამღმელი და წამყვანი ბარბარა იორტელთან ერთად გიზო კორდანია გახლდათ (გიზო გერმანელად, ბარბარა ქართულად მეტყველებდა). საქართველოდან 75 მონაწილე იყო ჩამოსახველი. მაინის ფრანკფურტში

წავიდნენ ყვავილებითა და ფერად-ფერადი ტრანსფარანტებით ხელდამშვენებული კინო და ტელეოპერატორები, ფურნალისტები, ქალაქისა და თეატრის მესკურნი. დიდი ზარზეიმით აპირებდნენ დაგვერას და, პოი საოცრებავ, პირველ ღლეს ტრაპზე მარტო მოძვრალი ლამარა ჰყონია გამოჩნდა. პროგეტტორები ჩაქრეს, ზღვა ყვავილები ხელში შერჩათ პირში ჩალაგმოვლებულებს. ლამარამ ავითხისნა, გოსკონცერტს ბილეთები ისე უფიდია, რომ სხვადასხვა ღლეს და ისიც სხვადასხვა რეისით მოუხდათ წამოსელა (ასკაციან რუსულ ანსამბლებს კი ერთად ამგზავრებდნენ, თუმცა იქიდან მარტო ხელმძღვანელი თუ ბრუნდებოდა უკან). აშკარა იყო ყოველნაირად ცდილობდნენ კვირეულის ჩამდის, მაგრამ, ეტყობა, რუსები გრძნებებს კარგად არ იცნობდნენ. მასპინძლები მოთმინებით აღიჭურენ და ერთი კვირის განმავლობაში ყოველღლე ყველა რეისს ხვდებოდნენ. რაღა თქმა უნდა, შეხვედრის პირვანდელი ვარიანტი, პომპეულობა ჩაიშალა. როგორც იქნა, ყველას მოუყარეს თავი. საქმე ისაა, რომ ხალხი კონფერენციაზე ზომ არ მოღიოდა, სადაც წინა ღლით შეიძლებოდა ჩასვლა. ჩამოვაიდნენ ოპერისა და რუსთაველის თეატრის მსახიობები, ანზორ ერქომაიშვილის ანსამბლი „რუსთავი“, საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი (კრისტანტინე ვარდელი, თამაზ ბათიაშვილი, ნოდარ უვანია, ოთარ ჩუბინიშვილი). საჭირო იყო რამდენიმე დღიანი რეპეტიციები, მაგრამ გოსკონცერტს ეს სულ არ ედარღებოდა — ვერ ხუჯე, თემ ლუშე-ს პრინციპით. კვარტეტის გამოსვლას სკეპტიკურად უურებდნენ, მაგრამ პირველი კონცერტის მერე ხალხი მოაწედა სალაროს. ანსამბლ „რუსთავს“ კველის ფაქტურად საგასტროლო ტურნე მოუწყო და ბევრ ქალაქში გამოვიდნენ დიდი წარმიტებით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კველებინდა პირველმა აჩვენა და მოასმენინა ეკრობას „რუსთავი“ და რუსთაველის თეატრი, რომელიც მეორედაც მოიწვია და რ. სტურუას „კავკასიური ცარცის წრით“ მო-

ხიბლა ზარბრუსტენელები. შინაგანი ნიერი ხელით რუსთაველელებს დიუსელდორფშიც ჰქონდათ გასტროლები. მერე სტურუამ იქ სპექტაკლები დადგა. კულტურის დღებში „სამანიშვილის დედინაცალი“ ორჯერ წარმოადგინეს, საღამოს 7 საათზე გერმანულმა დასმა ითამაშა, ცხრაზე კი ქართულმა. ღამის პირველ საათზე მაყურებელთა დაჟინებული თხოვნით სპექტაკლი გაიმეორეს. თეატრი ზარბრიუსტენის უამრავ თეატრალს ხომ ვერ დაიტვიდა. ჩვენი იქ ყოფინის დროს ვეღვეინდი საავადმყოფში იწვა და ექიმებმა კატეგორიულად აუკრძალეს აღვორი. ვინ დაუკარა, ლოგიზმის ხომ ვერ დააბაძნენ. ეს იმ კატეგორიის საავადმყოფო არ იყო, საღაცაც ზოგჯერ ასეთ ხერხსაც მიმართავენ. სხვა გზა არ ჰქონდათ, ყოველ საღამოს მოჰყავდათ თეატრში, თან მოკეებოდნენ ჰერმანის პირადი მეგობარი, საავადმყოფოს მთავარი ექიმი დოქტორი თოში, მცურნალი ექიმი, მედიცინის და და რო სანიტარი. თან ჰქონდათ მოზრდილი სამედიცინო კუთი წამლებითა და სხვა სამკურნალო მასალით საკეს. ეს კველაფერი კველისებში იდგა და იღო სადარაჯოზე. განსაცავიურებელია კველებინდის ენერგია, ფანტაზია, ერთდღოულად კველგან ყოფინის სურვილი და უამრავი სხვა თვისება, რაც ბარემ ათ ადამიანს ეყოფოდა, რომ გაენაწილებინათ. კულტურის კვარეულზე, სამწეხარიდ, მხოლოდ სამი თარჯიმიანი მუშაობდა ნ. ამაშუკელი, ია ხვადაგიანა და ნინო მელიქიშვილი. როცა კველებინდს შევჩილეთ, სიცილით გვათხრა, ქროველებს კველაფერი შეგიძლიათ. ჩვენი კულტურის დღებისათვის თეატრის მთავარმა დრამატურგმა (ასე ეძახიან სალიტერატურო ნაწილის გამგებს) ბარბარა იორთელმა გამოუშვა კველოური თეატრის გაზეთი და ურნალი ქართული დღეები, რომელმაც საქართველო და მისი ხელოვნება გააცნო გერმანელებს. ჩვენც ჩავიტანეთ ჩემს მიერ თარგმნილი ფერადი ბუკლეტები და მოზრდილი ბროშურები: მერაბ ლორთქიფანიძე „საქართველო“, შოთა რევოლუციი „გერმანულ-ქართული ლიტერა-



ტურული ურთიერთობანი“, დავით ლაშ-ქარაძე „გერმანული ჰიენები ქართულ სკონზე“, სიკო ღოლიძე „ქართული კინო“, ეთერ გუგუშვილი „ქართული თეატრი“, ანტონ წელუაძე „ქართული მუსიკა“, ნოდარ ჯანელიძე „ქართული არქიტექტურა“.

კულტურის დღეები ცველაზე მეტად ქართველ ემიგრანტებს გაეხარდათ, სულ ტიროლენ და ყველაფერს მაგნიტოფონზე იწერდნენ. ჩამოვადნენ გერმანიდან, საფრანგეთიდან, ბელგიიდან, თურქეთიდან. თურქი ემიგრანტები, მეტწილად ლაზები, ტირილისგან დასხვდნენ და „დაისის“ მაღაზას ლამის გადაპყვენენ. „ჭო მოყვადა“, ისმოდა დარბაზში საკმაოდ ხმამაღლა. საქართველოს კულტურის დღეები ჰქომარიტად ხელოვნების ზეიმძღ იქცა. დასასრულ პრემიერ მინისტრმა იოზეფ რიოფერმა მონაწილეობათვის მიღება გამართა. მოსაწვევში ეწერა: პირველ რიგში ვიწვევ ყველა გერმანულის მცოლენს. სამწუხაროდ, ეს ინსტრუქციაც მახსოვეს: მოივანთ უცხოელებს რესტორანში ბანკეტზე, შესასვლელთან დაგხვედებათ მინისტრთა საბჭოს წარმომადგენელი და ის შეიყვანს სტუმრებს დარბაზში, თქვენ კი შინ წადითო. ასე გვისტუმრებდნენ ზოგჯერ მთელი დღის ნაწარწალებ-ნაშიმშილევ თარჯიმნებს, ანუ უნივერსიტეტის ლექტორებს. ინტურისტის თარჯიმნებმა მაშინ ზეიმრად იცოდნენ მხოლოდ: მარჯვნივ ნარიყალაა, მარცხნივ მეტები, ან პირიქით, არც გაემტყუნებოდათ, ცოცხალი „კაპიტალისტი“ პირველად ნახეს. მოსკოვი ერთ დასაცლეთელს ლამის ორ თარჯიმან-კაებებლს ატანდა საქართველოში. ენის მცოლენები გვყვა-ლენ, მაგრამ პრაქტიკა არ ჰქონდა.

ვეღენიდმა დრამატულ თეატრებშიც დაგდა სპექტაკლები: რესთაველის თეატრში ანდრეას გრიფიუსის „ქეთევან ქართველი“ (თარგმანი აკაკი გელოვანისა, სასცენო რედაქცია — ხუთექტიანი ტრაგედიას ერთ მოქმედებაზე დაყვანა — ვეღენიდისა და ჩემი), მეტების თეატრში კოლეგანგ ბორბერტის „გარეთ კარისწინ“ (თარგმანი ვ. კუპრავასი), ქუთაისის დრამატულ თეატრში

ფრიდრიქ დიურნემატის „ფიზიკურებულება“ (თარგმანი თ. მამულაშვილისა), ზელუვას დრამატულ თეატრში შილერის „ვერავობა და სიცვარული“ (თარგმანი ვახტანგ ბერიძესა). ამ თეატრებშიც გვერდით ვეღები როგორც თარჯიმანი და ასისტენტი.

1976 წელს ზარლანდის კულტურის დღეები გაიმართა ობილისში. იქიდანაც ბერი სხვადასხვა შემსრულებელი ჩამოვიდა. გაღა-პონცერტმა დააგვირგვინა ვეღლაფერი. ჰერმანის მეუღლე გრეთე შაუნი არ ჩამოსულა, მართალია, ჰერმანი როგორც მორწმუნე, ცოლს არ გასცილებია, მაგრამ ქმარგაყრილ ქალთან, ილზე კარმანთან ერთად ცხოვრიბდა სოფელ კირტბოირენში, სადაც ქართული მუზეუმი და პატარა სცენა ჰქონდა. იქ იმართებოდა ქართული საღამოები. ეზოში პატარა ეკვდერს ირაკლი ოჩიაურის ჰქედურიბა ამშენებდა, რომელიც კირტბოირენში ყოფნისას გააქვთა. ათი წლის მანძილზე ჰერმანი და ილზე ერთად ჩამოდიოდნენ ჩვენთან. ილზე თეატრმისჯილვით იჯდა ცველა რეპეტიციაზე. მერე დაშორდნენ ერთმანეთს, კარმიდამ გაიყიდა, ილზე ჰამბურგში დასახლდა მმის დანატოვარ დიდ სახლში, სადაც შვილები და შვილიშვილები აკითხავენ. ჰერმანი თავის სოფელში, ვეღერნში გადასახლდა, სადაც ძალიან კოხტა სამსახულიანი სახლი ჰქონდა გატენილი წიგნებითა და კანეტებით. მშვენიერი რიცალი და პიანისობინის მოსართავად არ ჰქონია, კარგად უკრავდა, მღერიდა და ამით ირთობდა თავს. მასთან ხშირად იყო მოქანდაკე ლევან მხედიე, მის დად, გაურკვევლი დანიშნულების, მიწის იატაკიან და მაღალჭერიან სადგომში მუშაობდა კადეც.

ვეღენიდმა „დაისი“ ლუქსემბურგის მაფურებელსაც უჩვენა ახალ, არქიტექტურულად ძალიან საინტერესო შენობაში. ვიზოს და მე უვიზებოდ არ გვინდოდა წასვლა, თუმცა საზღვარი სიმბოლური იყო. ზემოსხენებულმა ბადულებებუმ, რომელმაც რუმინეთში დაბრუნებას თეატრში ხელზე მოსამსახურეობა ამჯობინა, უნივერმალ კარშტადტის



შესახელელმა დაკიდებული ფოტომოწყობილობით საბ წუთში გადაგვადებინა სურათები და 15 წუთში ლუქსებმურგის ვიზები მოგვირბენინა. საელჩოში გაუკვირდათ, რად უნდათო.

აღრე ველეკინდის ხელშეწყობით ცისანა ტატიშვილი საარბრიუქნის თეატრის ყოველწლიურ საშობაო გალაკონცერტში დებულობდა მონაწილეობას. მომღერალი ნაირა გლუხინიძე და პიანისტ-ორკანისტი გრიშა მეუკლიშვილი ახლაც ზაარბიუქენში მოღვაწეობენ.

გერმანელმა რეჟისორმა ვერნერ ვაქსმუტმა, რომელსაც სასიკვდილო სენი სჭირდა, რეჟისორის თეატრში განახორციელა დესინგის „ნათან ბრძენა“. სულ პერმანენტ ლიცულობდა – სიცოცხლე გამიხანგრძლივო, რეჟისორმა ლოთარ ტრაუტმანნა კი მეტეხის თეატრში დადგა ბრეჭტის „გალილეის ცხოვრება“. მეტეხის თეატრმა 1983 წელს ზაარბიუქენში გასტროლების დროს წარმოადგინა შეესპირის „მაკეტი“, პაშეკის „შვეიცა“, კლიდაშვილის „უბედურება“. რეჟისორმა სანდორ მრევლიშვილმა 1984 წელს იქაურ დასთან დადგა ლევ ტოლსტიოს „ცხენის ამბავი“.

ველეკინდის უკანასკნელი დადგმა იყო ქუთაისის საოპერო თეატრში ბეჭედოენის „ფილელიო“. ავადმყოფობის გამო ამჯერად ქუთაისში ვერ გავყევი და მისი თარჯომანი იყო ქუთაისის უნივერსიტეტის დოცენტი თამაზ გვენეტაძე, რომელიც პერმანს გერმანიაში გაჰყვა და მეხუთე წელია ოჯახინად იქ ცხოვრობს. ეს ტანდემი ნაყოფიერი აღმოჩნდა, ველეკინდის საარქეოლ მასალებზე და პრესაზე დაყრდნობით გვენეტაძემ გერმანულ ენაზე გამოსცა წიგნი თბილისისა და ზაარბიუქენის დამმობილებაზე და გერმანია-საქართველოს ზაარლანდის საზოგადოების თავმჯდომარესთან ღოქტორ პაინც გაბრერთან ერთად გამოიკვეყნა წიგნი „პერმან ველეკინდი ყვება თავის ცხოვრებას“, რომლის პრეზენტაციაზე ზაარლანდის პრეზიდენტისტრმა ოსკარ ლაფონტენმა 1997 წლის ივნისში სახელმწიფო კანცელარიაში მიმიწვია. იქ ვნახე უკანასკნე-

ლად პერმანი ოჯახისა და მისულებრივ კობრების წრეში.

პერმან ველეკინდმა ზაარლანდის აღბერთ შვაიცერის ცენტრის პრეზიდენტი (მღვდელი, შვაიცერის ყოფილი მდივანი) დააინტერესა საქართველოთი, შეიცვანა საქმის კურსში, გაგვაცნო ყველას, ვისაც კა ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის განმტკიცებაში რაიმე წვლილი მიგვიძევის, და ქართველებმაც მიიღეს ფრიად პრესტიული აღბერთ შვაიცერის მშვიდობის მედალი. ეს პატივი მეტ მხვდა წილად. პაიპები ხშირად ჩამოიდან თბილისში, ებმარებიან ავადმყოფებს. პირველი პერმანტარული დახმარება თბილისში ველეკინდმა და პაიპებმა ჩამოიტანეს, დავხვდით ვახტანგ ჭუბიშვილი და მე. გზავნილები მათი თხოვნით ჩამოვარიგეთ, სადაც ჯერ არს პირველად და უკანასკნელად (ჯიხურებს არაფერი ერგოთ). პერმანმა გადმოიბირა ერთი გერმანელი მილიონერიც, რომელმაც ერთი მილიონი გერმანული მარკა გაიღო, რათა ჩვენთან უდედმამო ბავშვებისთვის სოფელი აშენებულიყო, სადაც ბავშვები ახლად შეძენილ მშობლებით ერთად ცალკე სახლებში იცხოვრებდნენ, როგორც ზაარბიუქენში მითხვეს, ნუცებიძის პლატოზე დასახლების კურთხევა ახლო მომავალშია ნავარულევი და გიუნთერ პაიპი მეუღლითურ ჩამოვა.

1984-94 წლებში პერმანი ბალვეს 1500-ადგილიან გამიქეაბულში საზაფხულო ფესტივალების სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. ბალვეში თეატრის შოვებარულთა დასით „ქეთევან ქართველი“ ხუთმოქმედებიან მისტერიად წარმოადგინა. პიესა საკუთარი პასაჟებით შეავსო. იქ ქართველი სოლისტებიც მიუწვევია (ციისანა ტატიშვილი, თამრიძოვანი გვერდწითელი, ნანული აბესაძე, მარლენ ადამაძე). ერთხელ კონცერტის პროგრამაში მონსერატ კაბალიე ჩართო. მასხრად ავღეს, სიბერის მარაზი დახწამეს, მაგრამ მსოფლიო ვარსკვლავმა, რომლის მოწვევაში საუკეთესო თეატრები ეცილებოდნენ ერთმანეთს, თავის მაესტროს არ დაუვიწყა დამსახურება და ბალვეს გაოცებული მსმენე-



ლების წინაშე წარსდგა. გერმანელი მელომანები დაიძრნენ გამოქვაბულის-კენ. ზოგიერთებმა რეაზე მოძებნეს ბალვე, რომლის არსებობა არ იცოდნენ

ჰერმანი პოეტური ბუნებისა იყო, უყვარდა პოეზია, თანაც აზრების ლექსის ფორმით გადმიცემა ეხერხებოდა. ბევრი მეგობარი ჰყავდა, რომელთა უნახავად თბილის არ დატოვებდა: პატრიარქი იღია II, მოქანდაკე მერაბ ბერძნიშვილი, რომელმაც ჰერმანს უსაყვარლესი პიროვნება ქეთევან წამებული გამოქანდაკა და დღესაც მის ეზოში დგას ვედერნში, რეჯისორები გიზო შორდანია, გად ჭუბაბრია, კაკო დვალიშვილი, თეატრმცოდნე ნოდარ გურაბანიძე, მომლერალი ნანული აბესაძე, რომელთანაც თვეობით ცხოვრობდა, როგორც საეუთარ იჯახმი, სასტუმრო „აჭარის“ დარექტორი მიშა ლოლაძე, რომელიც წლების მანძილზე აცხოვრებდა და აპურებდა ჰერმანს და ჰაიპებს თავის სასტუმროში. მიშა უცხო ენათა ინსტიტუტის კურსდამთავრებულია, კარგად იცის გერმანული, ინგლისური და მათთან ურთეერთობაში შეამავალი არ სჭირდებოდა. ჰერმანის ახლო მეგობარი და თანამშრომელი მეც ვიყავი. ჰერმანი დიდად აფასებდა ელუარდ შევარდნაბის თანადომას, რომელიც ყოველნაირად ეხმარებოდა, ცეკას მდივანი იქნებოდა თუ პრეზიდენტი, და მოუცლელობის მიუხედავად ხშირად გამოუნახავს მისთვის დრო. შევარდნაძეს მეგობარს ეძახდა და ისიც კვარს უკრავდა. ჰერმანის პირველი გატაცება იყო ვახტანგ ქუპრავა, რუმინეთიდან იმან ჩამოიყანა, მუდამ მხარში ედგა და ცივ ნიავს არ აკარებდა. ჰერმანმა მითხრა: „მრავალ ქვეყანაში კყოფილვარ, ბევრი თანამოაზრე, მეგობარი და თანამშრომელი მყოლია, მაგრამ ღმერთს უნდოდა, რომ ჩემი ცხოვრების უკანასკნელი 25 წელი განსა-

კუთრებით მშვენიერი ყოფილობით უმოქმედია პერიოდი დაიწყო ვახტანგ ქუპრავას გაცნობით, ჩვენი დამეგობრებით და თანამშრომლობით. ის ჩემზე უმცროსი იყო ბევრად და, სამწუხაორი ჩემი დასამარხი გახდა. საგანგებოდ ჩამოვედი გერმანიიდან და ჩემს მაყვალას არ მოვშორებივინ“. მისი ბოლო გატაცება იყო პოეტი მორის ფოცხიშვილი, რომელსაც ზებუნებრივ ძალას აწერდა, მომარჩინა. საქართველზე მიჯავეულისთვის უთქვას: „ჰერმან, მოდი“ და ჰერმანსაც ფეხი აუდგამს უჯოხოდ. მორისის დაკრძალვაზეც ჩამოვიდა. მორისი მცხეთაში დაკრძალებულის ეპლესის ეზოში და ნეტავ მეც აქ ვიწვეო. საერთოდ, მუდამ ნატრობდა საქართველოში დამარხულიყო.

ვეღეკინძს მრავალ ქვეყანაში მოუხდა მოღვაწეობა, მაგრამ საქართველო მისი მეორე სამშობლო გახდა. მას შეუყვარდა ჩვენი ქვეყანა გულწრფელად და სამუდამოდ. ხშირად ამბობდა ხუმრობით: უკურნებელი სენი შემეყარა, საქართველოს სიცვარული ჰქვია და, რაც მთავარია, ძალიან სასიამოენი და გამაბედნიერებელი სენიაო. როგორც კი თავისუფალ დროს მოიხელთებდა, საქართველოში მოფრინავდა, ავადმყოფს მორჩენა იმიტომ უხარიდა, საქართველოს მივაშურებო. მას ჩვენს ქვეყანაში ცხოვრებაც კი უნდოდა, მაგრამ ჯანმრთელობამ უმტკუნა.

ვეღეკინძი მარტო კულტურის სფეროთი არ დაკმაყოფილდა, ზაარბრიუქენის და თბილისის დაშმიბილება გადაწყვიტა. ჭოვლებარი დაბრივილება გადალახა და საწადელსაც მიაღწია. ამაში ბატონმა ოსკარ ლაფონტენმა დიდად შეუწყო ხელი, მერე თვითონაც გამოიჩინა ინიციატივა და ზაარბრიუქენის დამმობილებული ქალაქი ნანტი თბილის-თანაც დაამმობილა. ასე შეიქრა სამთაწრე: საქართველო-გერმანია-საფრანგეთი. ერთი აუხდენელი ოცნება მაინც

დარჩა, თავისი კირუბოირენი და ფიროს-მანის მირზახანი ვერ დაამტობილა.

საუკუნის მეოთხედის მანძილზე უამ-რავი კულტურული ღონისძიება ჩატარდა თუ თბილისში, თუ ზაარბრიუქენში და ზოგს ხანდახან არ ახსოვს, რომ მოელი ეს ჩარხი ვედეკინდმა დაატრიალა, ის რომ არა, დიდხანს მოგვიწევდა ცდა. იგულისხმება ის ძრო, როცა საბჭოთა კავშირად წოდებულ მონსტრს და, საუბედუროდ, საქართველოსაც, ცივალიზებული და არაცივილიზებული ქვეყნებიდან რეინის ფარდა ყოფდა.

ჭეშმარიტად, ისტორიას პიროვნებები ქმნიან.

აქ ვერ ჩამოეთვლი ვედეკინდის ყველა დამსახურებას, ეს შირს წაგვიყვანს, ვიტყვი მხოლოდ, რომ მისი წყალობით თბილისის ყოფილ მარქისის მოედნს ზაარბრიუქენის მოედანი ეწოდა, ზაარბრიუქენის თეატრის წინ კი თბილისის მოედანია. წარწერა საბჭოთა კავშირის საელჩოს ინიციატივით გრიმანულ-რუსული იყო. ლაფონტენთან აღშუოთება გამოვთქვა და ახლა იქ ქართული წარწერაა.

1990 წელს ოპერის თეატრში სახეობოდ აღინიშნა ჟერმანის დაბადების 80 წლისთავი, ბავშვივით უხაროდა, გადაჭედილ დაბაზაზს სცენიდან რომ გადახედა, ჩამჩრისულა, ეს რა მეღირსაც. მაღლიერმა საქართველომ ვედეკინდს თბილისის, თელავის, ქუთაისის და ბოლოს საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდება უბოძა, რითიც ძლიერ ამაფობდა. ჰერმან ვედეკინდის საყვარელი სიტყვები იყო: „ხელოვნებამ არ იცის საზღვრები“ და „ხელოვნება აახლოებს ხალხებს“. მან ეს ათასჯერ დაგვიმტკიცა და უსაზღვროა ჩვენი მისდამი სიყვარული და პატივისცემა.

გუაგ ჲათიაშვილი - 60

მრავალი წლის მეტობრობა მაკავშირებს გურამ ბათიაშვილთან. ერთად განგვიცდა სიხარულიც და ტკივილიც როცა დროებით, ორიოდე თვით თბილისის ყინვას განერიდება ხოლმე, საოცრად ვგრძნობ, რომ მაკლია გურამი.

მაკლია მისი ყურადღება, მისი მუდამ საინტერესო და თანახიარი საუბარი.

ჩვენ, უპირველესად, თეატრმა და მწერლიობამ დაგვაკავშირა.

გურამ ბათიაშვილი ნიჭიერი დრამატურგია. ქართული კულტურის მოღვაწე, დაფასებული და მუდამ ანგარიშგასაწევი ადამიანია. მასთან ურთიერთობა არ გვლის, არ გაწუხებს, ფაქტით იუმორი და მუდამ კეთილგანწყობილი ხასიათი უმრავლებს მეტობრებს.

გურამის ბევრი პიესა დაიღვა ქართულ სცენაზე. ზოგიერთის მეკვლე და გზის დამლოცველი ვყოფილვარ. მასთავს როგორი გატაცებით მიყვებოდა კოტე მარჯანიშვილის შესახებ, როცა პიესას წერდა. ამოწმებდა ყოველ ფაქტს, აზუსტებდა რამდენად ისტორიული იყო ესა თუ ის მოვლენა. განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა კონფლიქტური სიტუაციებისადმი, რომელიც დიდ რეჟისორებს (მარჯანიშვილი და აბერტელი) შორის მოხდა. პიესა ბათუმის თეატრში დაიღვა.

განსაკუთრებით უნდა გამოვყო პიესა „ვალი“. იგი ჩვენი ისტორიის რთულ ჰეროობით დაიწერა, როცა მასთაბრივად მიღიონდენ ებრაელები ისტორიულ სამშობლოში. პიესის ირგვლივ იყო ქამათი, აზრთა სხვაობა, ზოგს სცენაზე წარმოდგენაც კი არ უნდოდა. ახლა აღვიღია წარსულის ბევრ უკუღმართ მოელენებს დაპარაკი, მაგრამ მაშინ ყოველი ახალი, გაბედული გადატანა ერთობ რთული იყო. პიესამ დიდ აეითტავი გამოიწვია. ემოციური სისავსე, გულწრფელი აღსარება და დრამატურგიული სრულყოფილი ხასიათები სცე-